



The Importance of Full Constitutional Complaint as the Effective Mechanism for Restoring Human Rights in Constitutional Justice

Tamar Avaliani

Senior legal scientist of the Scientific Research Institute of Law in European University

ABSTRACT

The report is related to pointing out the advantages of full constitutional complaint and its peculiarities and characteristics. The model of full constitutional complaint contributes to the principle of responsible governance and relevant authorities. Among other advantages, full constitutional complaint is the important instrument that contributes to make courts' best practices come together and share the experience.

Establishing of the full constitutional complaint will contribute in order to increase human rights sensitivity and human rights approach in general courts system while discussing and deciding individual court cases. Besides, the full individual constitutional complaint mechanism will contribute to provoking interest towards Constitutional Court justice.

KEYWORDS: Complaint, Control, Justice

PREFACE

The limitation of government by human rights is one of the the important characteristics of democracy and rule of law in the state. The limitation of government by human rights ensures the human rights protection and guarantees them. One of the important mechanism for protecting human rights is constitutional control. Accordingly, proper protection of human rights and constitutional order is unreachable goal without effective mechanisms of constitutional control.

THE PECULIARITIES OF FULL CONSTITUTIONAL COMPLAINT

Full constitutional complaint should be considered one of the effective mechanisms for restoring violated rights. It is possible by this mechanism to constitutionally control three branches of the government and its legal acts and

decisions. Human rights are violated not only by law, but also by court decisions and the actions of executive branches. Relevantly, on the national level there should exist effective mechanism for restoring violated rights and possibility that the constitutional court is able to discuss the accordance of the acts of three branches with the human rights and liberties guaranteed by the constitution. Constitutional Court should be given the possibility to discuss the constitutionality of general courts' decisions and establish violation of human rights in case it its revealed. An application at the Constitutional Court is based on the principle of subsidiarity, according to which the Court involves in the legal dispute additionally, when the legal protection mechanisms are exhausted.

The variety of models of full constitutional complaint exist in many European countries (Germany, Czech Republic, Portugal and etc.).

THE GAPS OF GEORGIAN MODEL OF THE CONSTITUTIONAL COMPLAINT

The form of constitutional control functioning in Georgia is a defective mechanism for restoring human rights. Georgian model does not give an individual the possibility to apply to the Constitutional Court on the constitutionality (in terms of human rights) of decisions taken by general courts and executive branches. Constitutional Court of Georgia cannot control the decisions of general courts in terms of human rights, also how general courts interpret human rights within the specified case. We should agree with the opinion that “in the existence of “real” constitutional control, constitutional courts try its best not to violate the principle of “iura novit curia, and from the very beginning develop individual schemes of constitutional control based on basic human rights”.¹

THE ADVANTAGES OF IMPLEMENTING THE FULL CONSTITUTIONAL COMPLAINT MECHANISM IN GEORGIA

The perspectives and basis of implementing “real” constitutional control was strengthened by the judgment (Apostol v. Georgia) of European Court of Human Rights². In the mentioned judgment, European Court of Human Rights discussed in details about the

- 1 Erkvania T., Normative constitutional complaint as the improper form of concrete constitutional control in Georgia. 2014, <https://emc.org.ge/ka/products/normatiulisakonstitutsio-sarcheli-rogorots-konkretuli-sakonstitutsio-kontrolis-arasrulqofili-forma-sakartveloshi>.
- 2 (Apostol v. Georgia), 2016, par. 42.

interrelationship between constitutional justice and full constitutional complaint mechanism. According to this judgment, “real” constitutional complaints create the strong instrument for the realization of basic human rights and liberties by the Section 2 of the Georgian constitution”³. One of the advantages of full constitutional complaint is to promote the cooperation and the exchange of best practices between general courts and Constitutional Court. The introduction of full constitutional complaint will increase sensitivity towards human rights during case discussions and ensure the increase of interests of judges in constitutional justice. In addition, this model will promote the development of “law of judges” and substantially improves the quality of their work. Also, this model will promote the decrease of the complaints from Georgia to the European Court of Human Rights.

While implementing the full constitutional complaint model, the scope of the constitutional control, permissiveness, the issue of compensation and etc. should be considered as well.

CONCLUSION

Full constitutional complaint is the effective mechanism in terms of restoring violated rights, that would give the national legal system an opportunity to protect human rights more effectively and to check the standard of protecting human rights in the general court system. The model of full constitutional complaint will increase the quality and effectiveness of the work of general courts.

- 3 Ibid, par. 31.

NOTES:

1. Erkvania T., Normative constitutional complaint as the improper form of concrete constitutional control in Georgia. 2014, <https://emc.org.ge/ka/products/normatiulisakonstitutsio-sarcheli-rogorots-konkretuli-sakonstitutsio-kontrolis-arasrulqofili-forma-sakartveloshi> (in Georgian)
2. (Apostol v. Georgia), 2016, par. 42. (In Georgian)
3. Ibid, par. 31.

BIBLIOGRAPHY:

1. Erkvania T., Normative constitutional complaint as the improper form of concrete constitutional control in Georgia. 2014, <https://emc.org.ge/ka/products/normatiulisakonstitutsio-sarcheli-rogorots-konkretuli-sakonstitutsio-kontrolis-arasrulqofili-forma-sakartveloshi> (in Georgian)
2. (Apostol v. Georgia), 2016, par. 42. (in Georgian)

„რეალური“ ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის, როგორც დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტური მექანიზმის მნიშვნელობა საკონსტიტუციო სასამართლოს მართლმსაჯულებაში

თამარ ავალიანი

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო
კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

საკვანძო სიტყვები: სარჩელი, კონტროლი, მართლმსაჯულება

შესავალი

ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვა ადამიანის უფლებების დაცვასა და გარანტირებას უზრუნველყოფს. ადამიანის უფლებების დაცვის გზაზე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს საკონსტიტუციო კონტროლი წარმოადგენს. შესაბამისად, ადამიანის უფლებების სათანადოდ დაცვა და კონსტიტუციური წესრიგის დამყარება მიუღწეველი ამოცანაა საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტური მექანიზმების გარეშე.

„რეალური“ ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის თავისებურებანი

დარღვეული უფლების აღდგენის ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმად „რეალური“ ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელი უნდა განვიხილოთ. მისი მეშვეობით, შესაძლებელია ხელისუფლების სამივე შტოს და მათ მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების საკონსტიტუციო კონტროლი. კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები არა მარტო კანონით, არამედ სასამართლო გადაწყვეტილებებითა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ქმედებებითაც შეიძლება დაირღვეს. შესაბამისად, ეროვნულ დონეზე უნდა არსებობდეს დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტური მექანიზმი და იმის შესაძლებლობა რომ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს, რამდენად შეესაბამება ხელისუფლების სამივე შტოს აქტები სა-

ქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განიხილოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის საკითხი და დაადგინოს უფლების დარღვევა ასეთის არსებობის შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლოში ხელისუფლების სამივე შტოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება სუბსიდიარობის პრინციპს ეფუძნება, რომლის თანახმადაც საკონსტიტუციო სასამართლო დამატებით ჩართვება კონკრეტულ დავაში, მას შემდეგ რაც ამოწურული იქნება სამართლებრივი დაცვის მექანიზმები. „რეალური“ ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის მოდელი გარკვეული ვარიაციებით წარმატებით ფუნქციონირების ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში (გერმანია, ჩეხეთი, პორტუგალია და სხვა).

საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელის ხარვეზები

საქართველოში მოქმედი საკონსტიტუციო კონტროლის მოდელი, დარღვეული უფლების აღდგენის გზაზე ხარვეზიან სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს. საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელი ფიზიკურ პირს არ აძლევს შესაძლებლობას, საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს საჩივარი სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების ადამიანის უფლებებთან მიმართებით კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო კონტროლის მთავარ ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის უფლებებთან მიმართებით ვერ აკონტროლებს საერთო

სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ასევე, იმას თუ როგორ ახდენენ სასამართლოები კონკრეტული დავის ფარგლებში ადამიანის უფლებების ინტერპრეტირებას. გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის არსებობისას, საკონსტიტუციო სასამართლოები მაქსიმალურად ცდილობენ, არ შელახონ პრინციპი – iura novit curia, და თავადვე განავითარონ საკონსტიტუციო კონტროლის ინდივიდუალური სქემები ძირითად უფლებებზე დაყრდნობით¹.

„რეალური“ ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის დანერგვის უპირატესობები საქართველოში

„რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის საქართველოში დანერგვის პერსპექტივები და საფუძველი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაამყარა მსჯელობისას საქმეზე – „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“². გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ დეტალურად იმსჯელა საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისა და „რეალური“ საკონსტიტუციო სარჩელების ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე. სასამართლოს განმარტებით „რეალური“ საკონსტიტუციო სარჩელები ქმნის საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განხორციელების ძლიერ ინსტრუმენტს³. ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის მთავარ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ იგი ხელს შეუწყობს კოოპერაციასა და და საუკეთესო პრაქტიკების გაცვლას საერთო სასამართლებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის. ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის შემოღება გაზრდის ადამიანის უფლებების მიმართ მგრძობელობას დავების განხილვისას და ხელს შეუწყობს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დაინტერესებას საკონსტიტუციო მართლმსაჯულებით. ამასთანა-

ნავე, მითითებული მოდელი ხელს შეუწყობს სამოსამართლო სამართლოს განვითარებასა და არსებითად გააუმჯობესებს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მუშაობის ხარისხს. სარჩელის უპირატესობას წარმოადგენს ისიც, რომ ეს მოდელი ხელს შეუწყობს საქართველოდან საჩივრების გაგზავნის შემცირებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

„რეალური“ ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის დანერგვისას, აუცილებელია განისაზღვროს რა მოცულობით და რა ფარგლებში მოხდება საერთო სასამართლოების კონტროლი, სარჩელის დასაშვებობის საფუძვლები, კომპენსაციებთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

დასკვნა

„რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლი ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს დარღვეული უფლების აღდგენის კუთხით, რაც მისცემს შესაძლებლობას ეროვნულ სამართლებრივ სისტემას აღადგინოს დარღვეული უფლებები და ეროვნულ დონეზე მოახდინოს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის შემოწმება საერთო სასამართლოების სისტემაში. ეს კი თავის მხრივ აამაღლებს საერთო სასამართლოების მუშაობის ხარისხს და ეფექტიანობას.

1 ერქვანია თ., ნორმატიული საკონსტიტუციო სარჩელი როგორც კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის არასრულყოფილი ფორმა საქართველოში, 2014, <https://emc.org.ge/ka/products/normatiuli-sakonstitutsio-sarcheli-rogoris-konkretuli-sakonstitutsio-kontrolis-arasrulqofili-forma-sakartveloshi>

2 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N40765/02 აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ (Apostol v. Georgia), 2006 წლის 28 ნოემბერი, პარაგრაფი 42.

3 იქვე, პარაგრაფი. 31.